# ქვემო ქართლის რეგიონული არსახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტზე ფრინველების რაოდენობის მართვა

ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების მართვის პროექტი
გარემოზე ზემოქმედების და სოციალური ზემოქმედების ანგარიში



HPC AG
Nördlingerstr. 16, 86655 Harburg /Schwaben, Germany, Tel.: +49 9080 999-0, Fax: +49 9080 999-249 e-mail: dec@hpc-paseco.gr

Policy and Management Consulting Group (PMCG)
61 Aghmashenebeli Avenue, 4th floor | 0102, Tbilisi, Georgia.
T/F: (+99532) 292 11 71, 292 11 81 office@pmcg.ge |www.pmcg.com

## ფრინველების რეპელენტური სისტემების მაგალითები

ქვემო ქართლის რეგიონული არსახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტზე ფრინველების რაოდენობის მართვის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში ფრინველების დასაფრთხობად, გამოყენებული იქნება სხვადასხვა ტიპის რეპელენტური სისტემები. კერძოდ:

1. პროპანის მფრქვევები (Propane cannons);
2. ბიოაკუსტიკური მოწყობილობა;
3. ლაზერული რეპელენტი;
4. ვიზუალური ოპტიკური საშუალებები;
5. დაფრთხობა ძაღლებით;
6. დაფრთხობა ფრინველების ფიტულით;
7. დაფრთხობა მტაცებელი ფრინველებით.

ქვემოთ მოცემულია რეპელენტური სისტემების შემოთავაზებული ტექნიკური მახასიათებლები:

| # | ტექნიკური მახასიათებლები | |
|---|---|---|
| 1 | სისტემის 1 კომპლექტის სამუშაო არეალი | სულ მცირე 4 ჰა |
| 2 | გამოცემული ბგერის სიძლიერე | 96 დბ-მდე |
| 3 | დაფრთხობისთვის გამოყენებული ნივთიერება | პროპანი |
| 4 | დაფრთხობისთვის გამოყენებული ნივთიერების რაოდენობა (ბალონი) | სულ მცირე 12 ლ |
| 5 | 1 ბალონით განხორციელებული მინიმალური გაფრქვევები | 15,000 გფრქვევა |
| 6 | ოპერირება | 6-12 V აკუმულატორი |
| 7 | გაფრქვევის ტიპები | სულ მცირე 3 სხვადასხვა ტიპის |
| 8 | ოპერირების ინტერვალი (გაფრქვევებს შორის ინტერვალი და გაფრქვევის ტიპებს შორის ინტერვალი) | აუტომატური ან ელექტრონული |

ასევე, ფრინველების რეპელენტური სისტემის მაგალითია **Purivox Carousel Triplex V bird repellent**. ეს არის ეფექტური ფრინველების დამფრთხობი მოწყობილობა, რომლის ზემოქმედება ვრცელდება 4-5 ჰა-ზე. გარემო პირობებიდან გამომდინარე, ამ მოწყობილობით შესაძლებელია 25 ჰა-მდე ტერიტორიის დაცვა და ახდენს 3 სხვადასხვა ტიპის გაფრქვევას. იგი გამოიყენება:

- სხვადასხვა სამრეწველო ობიექტზე;
- აეროპორტებში;
- სოფლის მეურნეობაში;
- ნაგავსაყრელებზე;
- და სხვ.

ბგერის გამომცემი მოწყობილობა და ელექტრონული კვანძი ხელსაწყოს ზედა ნაწილშია მოქცეული. სამფეხა სადგამის ბრუნვა შესაძლებელია გაფრქვევის ტიპის შესაბამისად და დაფარვის არეალია ხელსაწყოს გარშემო $360^{O}$. მოწყობილობა დგას 2 მეტრის სიმაღლეზე მყარ სამფეხა სადგამზე და შესაძლებელია ნებისმიერი ტიპის ზედაპირზე დამაგრება. მოწყობილობის ელექტრონული კვანძი იძლევა მისი დარეგულირების ფართო შესაძლებლობას:

- ინტერვალების გადართვას;
- გაფრქვევების რაოდენობის დაყენებას;
- გფრქვევის მოცულობის დაყენებას.

მეორე მაგალითია ფრინველების ციფრული რეპელენტი, რომელიც გამოსცემს სხვადასხვა სიძლიერის ბგერებს სხვადსხვა სახეობის ფრინველების დასაფრთხობად. ამ დანადგარის სამუშაო ფართობია 4,000 $მ^2$ და მუდმივი დენის წყაროს გარდა შესაძლებელია 12 V ბატარეით აღჭურვა. საკმაოდ ეფექტურია თუ აღნიშნული ხელსაწყოს გამოყენება მოხდება სხვა რეპელენტებთან კომბინაციაში, მაგ., დაფრთხობა მტაცებელი ფრინველებით ან დაფრთხობა 3D ეფექტის მქონე ბურთის საშუალებით.